თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	თინათინ ხანჯალიაშვილი
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება	„ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“
კომისიის დასახელება	ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისია, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) პროპორციული

საანგარიშო პერიოდი	2023 წლის **31 ოქტომბრიდან** 2024 წლის **31 ოქტომბრამდე.**
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. 1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა **15**
   საკრებულოს სხდომებზე დასწრება **14**

1.2 **სულ კომისიის სხდომების რაოდენობა** მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების

კომისიის სხდომებზე დასწრება მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების-

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 12 სხდომა, დავესწარივე 12-ს;
როგორც სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული კომისიის წევრი, 14 სხდომიდან დასწრებული ვარ 9 სხდომას.

1.3 **სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა -5**
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - **5**

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

- თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ისეთი ახალი პროგრამების ინიცირება, როგორიცაა „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროგრამა“.

ინიცირებული საკითხი 2024 წლის ბიუჯეტში არ აისახა.

1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები ----------

1. თელავის ჭადრის ხისთვის ადგილობრივი მნიშვნელობის დაცული ხის სტატუსის მინიჭების შესახებ;

2. ადგილობრივ ბიუჯეტში წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებისთვის ფულადი სახსრების გამოყოფა;
3. მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამები.

1.6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა ----------

1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -57-
და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა --1380-

1.8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები ------ ქალაქის ქაოსური განაშენიანება და გენ. გეგმის მიღების აუცილებლობა ქ. თელავისთვის, საბავშვო ბაღებში დასაქმებული პერსონალის ერთჯერადი კვების პრობლემა, საბავშვო ბაღებში დასაქმებული პერსონალის ჯანმრთელობის დაზღვევის პრობლემა, ქალ მეწარმეთათვის მუდმივმოქმედი საგამოფენო ბაზრობის მოწყობის მხარდაჭერა, 30-40 წლის ქალებისთვის ძუძუს სკრინინგის დაფინანსება, მიუსაფარი ცხოველების პრობლემა.

1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები
(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ არ გაკეთებულა წერილობითი სარეკომენდაციო სახის წინადადებები

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- ვარ თელავის მუნიციპაიტეტს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი და საანგარიშგებო პერიოდში, ვიყავი თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მოგებული პროექტის „პრევენციული ჯანდაცვის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თელავის მუნიციპალიტეტში” (რომელიც დაფინანსდა ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ვოლდ ვიჟენ საქართველოს მიერ) ავტორი და განმახორციელებლი. ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 13 საინფორმაციო შეხვედრა თელავის მუნიციპალიტეტის 12 სოფელში (მ/შ სოფ. ყარაჯალაში 2 შეხვედრა).
ასევე, პროექტის ფარგლებში მომზადდა და გავრცელდა 500 ერთეული საინფორმაციო ბუკლეტი - 2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები.

მომზადდა ვიდეო 2024 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ, აიტვირთა თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფეისბუქის გვერდზე და გავრცელდა წევრების საშუალებით.
შეხვედრების, ბუკლეტების და ვიდეოს საშულებით შევძლთ ინფორმაცია მიგვეწვდინა 500 (საინფორმაციო შეხვედრები და ბუკლეტების გავრცელება) პირდაპირი და 37,500 არაპირდაპირი მონაწილისთვის.
პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყო ჩართული და საინფორმაციო შეხვედრებს უძღვებოდა საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ეკატერინე ონიკაძე.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში გაკეთდა 2 შეხვედრა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის კუთხით - ერთი შეხვედრა განხორციელდა დასაქმების ხელშეწყობსი სხელმწიფო სააგენტოსთან თანამშრომლობით, ხოლო მეორე აწარმოე საქართველოსა და სოფლის განვითარების სააგენტოსთან ერთად.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა თემატური მოკვლევა „გოგოებისა და ბიჭების და ქალებისა და კაცების ხელმისაწვდომობა თელავის მუნიციპალიტეტში კულტურის, სპორტისა და განათლების სფეროში მოქმედ მუნიციპალური არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ შეთავაზებულ სერვისებზე"

-ფრაქციის წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას მომზადებულია 1 ქვეპროგრამა 2024 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად;
- 2023 წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში დასწრებული ვარ 4 შეხვედრას ონლაინ რეჟიმში.
- ვარ ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის კახეთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე და ამ უფლებამოსილების განხორციელებისას ვაწარმოე გენდერული ძალადობის წინააღმდეგ აქტიური საინფორმაციო კამპანია, ჩავატარეთ 8 საინფორმაციო შეხვედრა აქცენტებით ადრეულ ქორწინებაზე კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტში, რომლებსაც 460 ახალგაზრდა დაესწრო; მარტის ქალთა თვის კამპანიის ფარგლებში კახეთის მასშტაბთ ჩავატრეთ 8 საინფორმაციო შეხვედრა კახეთის რვავე მუნიციპალიტეტში ქალთა ქონებრივი უფლებების შესახებ და შევხვდით 140 ქალს. ორგანიზება გავუწიეთ 40-70 წლის ქალთა ტრანსპორტირებას გურჯაანში „იონი-კახეთის“ სკრინინგ ცენტრში კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან და ჯამში 435 ქალს დავეხმარეთ სკრინინგის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობაში.

3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები
თემატური მოკვლევა ნარჩენების მოსაკრებლის ამოღების ადმინისტრირებაზე.

შევსების თარიღი 30. 10. 2024
წარდგენის თარიღი 30. 10. 2024

ხელმოწერა